ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2024 წლის 24 იანვარი

დაბა სტეფანწმინდა

,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №22 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 06/07/2018, სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.151.016250) შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

2. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი1. დამტკიცდეს ,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის დებულება დანართი №1-ის შესაბამისად.

3. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის (დებულების) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ამოღებულია;

4. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის (დებულების) მე-3 მუხლის „ღ“ პუნქტი ამოღებულია.

5. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის (დებულების) მე-6 მუხლი ამოღებულია.

მუხლი 2

დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ **ელგუჯა ღუდუშაური**